

მზალო დოხტურიშვილი  
სრული პროფესორი რომანისტიკაში  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღვთიური და საერო სამართალი უმბერტო ეკოს რომანში  
„ვარდის სახელი“

« ... *ho riscoperto così ciò che gli scrittori hanno sempre saputo (e che tante volte ci hanno detto): i libri parlano sempre di altri libri e ogni storia racconta una storia già raccontata*”<sup>1</sup>(513)

« ... *esistono idee ossessive, non sono mai personali, i libri si parlano tra loro, e una vera indagine poliziesca deve provare che i colpevoli siamo noi* »<sup>2</sup> (533)

“... *tale era lo stile del chronista medievale, voglioso di introdurre nozioni enciclopediche ogni qual volta nominasse qualcosa*”<sup>3</sup> (519)

“... *il Medio Evo è la nostra infanzia a cui occorre sempre tornare per fare l’anamnesi*”<sup>4</sup>(531)

იმდენი რამ ითქვა და დაიწერა უმბერტო ეკოს ამ პირველი რომანის გამოქვეყნების შემდეგ, რომ დიდხანს მომიწია ფიქრი, ვიდრე წინამდებარე სტატიის სტრუქტურას შევიმუშავებდი. საბოლოოდ, გადავწყვიტე, სტატიისთვის ეპიგრაფად წამემძღვარებინა უმბერტო ეკოს რამდენიმე მოსაზრება და თითოეული მათგანი განმევითარებინა ნაწარმოებში ჩემი საკუთარი ლიტერატურული „გამოძიების“ შედეგად. ეს რომანი კი უამრავი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მათ მოგვიანებით ჩამოვთვლი და დავუმატებ ჩემ საკუთარ ინტერპრეტაციას, რომელიც შევიმუშავე ნაწარმოების მესამედ წაკითხვის შემდეგ. ამასთან ერთად, კითხვის პროცესში ვადარებდი ორიგინალის ტექსტს ფრანგულ და ქართულ თარგმანებს ღვთიური და საერო სამართლის კონცეპტების თარგმანის ადექვატურობის დასადგენად.

თავდაპირველად, შევეცადოთ, რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ, რას წარმოადგენს უმბერტო ეკოს რომანი „ვარდის სახელი“.

<sup>1</sup> ასე აღმოვაჩინე ის, რაც მწერლებმა კარგად იციან (და არაერთხელ უთქვამთ კიდევ ჩვენთვის): წიგნები სხვა წიგნებზე საუბრობენ და ყოველი ამბავი უკვე მოყოლილ ამბავს გვიყვება (701).

<sup>2</sup> არსებობს აკვიატებული იდეები და ისინი არასოდეს არავის არ ეკუთვნის, წიგნები ერთმანეთს ელაპარაკებიან და ნამდვილმა გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავეები ჩვენ ვართ (739).

<sup>3</sup> ასეთი იყო შუა საუკუნეების მემატთანის სტილი: ენციკლოპედიური ცნობების მოცემა ყველაფერზე, რაც კი თხრობაში ნახსენები იქნებოდა (713).

<sup>4</sup> შუა საუკუნეები ჩვენი ბავშვობაა, რომელსაც ანამნეზისთვის ხშირად უნდა მივუბრუნდეთ (735).

ფრანგი გამომცემლის თანახმად, « *c'est un roman admirable, mythique, où se côtoient une trame policière très bien montée et des enseignements précieux sur le monde médiéval* »<sup>5</sup>. ჩვენთვისაც ეს არის დეტექტიური რომანი, ვინაიდან მასში მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ტრადიციული დეტექტიური რომანისგან განსხვავებით, მისთვის დამახასიათებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება: გამოძიების დასასრულს გამომძიებელი უძღურია, მიუხედავად იმისა, რომ იპოვის დამნაშავეს, ხელი შეუშალოს დამატებით კიდევ ორ სხვა - მონასტრის წინამძღვრისა და ბიბლიოთეკის მცველის - მკვლელობას. უფრო მეტიც, და ეს კიდევ უფრო საგულისხმოა, მას არ შესწევს უნარი, თავიდან აიცილოს ხანძარი, რომელმაც გაანადგურა როგორც მონასტერში არსებული უნიკალური ბიბლიოთეკა, ასევე თავად მონასტერიც. მას ისიც კი არ შეუძლია გამოაცხადოს, რომ აღმოაჩინა მკვლელი, რომ დაადგინა ჩადენილი დანაშაულების მოტივი და მიზეზი და გამოძიების შედეგები სასამართლოს წარუდგინოს.

არის კიდევ სხვა მომენტები, რომლებიც ამ რომანს საკუთრივ დეტექტიური რომანებისგან განასხვავებს: თავდაპირველად, ეს არის შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების თხრობა, რაც მას ისტორიული რომანის სტატუსს სძენს; ისტორიული ფაქტების გადმოცემისას ავტორი ავითარებს მნიშვნელოვან ფილოსოფიურ და თეოლოგიურ რეფლექსიებს, რაც იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ „ვარდის სახელი“, იმავდროულად, ფილოსოფიური რომანიც არის; ეს არის რომანი, რომელიც ითხოვს მრავალჯერად წაკითხვას, ის ერთგვარი პალემფსესტია, რომელიც მიგვანიშნებს როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური ინტერტექსტუალობის არსებობაზე, რაც ენციკლოპედიურ ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა; როგორც თავად უმბერტო ეკო აღნიშნავს, ის ვერ გაექცა ინტერტექსტუალობას. ასეა, ამბობს ის, « *ho riscoperto così ciò che gli scrittori hanno sempre saputo (e che tante volte ci hanno detto): i libri parlano sempre di altri libri e ogni storia racconta una storia già raccontata* »<sup>6</sup> (513). ამგვარად, ეს წიგნი არის აგრეთვე წიგნებზე, ვინაიდან მასში უხვადაა გვერდები, რომლებიც მოგვითხრობს ამ საოცრად მდიდარ ბიბლიოთეკაში არსებულ იმ წიგნებზე, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, ენციკლოპედიურ ცოდნას გვაწვდიან. ეს არის აგრეთვე რომანი შუა საუკუნეების ევროპაზე, რომლის პერსონაჟები ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მიუხედავად დეტექტიური რომანისათვის დამახასიათებელი სტრუქტურისა, ეს რომანი არის, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „... *essa è storia di libri, non di miserie*

<sup>5</sup> ეს არის საოცარი, მითიური რომანი, რომელშიც თანაარსებობენ კარგად აგებული პოლიციური ხრიკები და მნიშვნელოვანი მონაცემები შუა საუკუნეების სამყაროზე.

<sup>6</sup> ასე აღმოვაჩინე ის, რაც მწერლებმა კარგად იციან (და არაერთხელ უთქვამთ კიდევ ჩვენთვის): წიგნები სხვა წიგნებზე საუბრობენ და ყოველი ამბავი უკვე მოყოლილ ამბავს გვიყვება (701).

*quotidiane, e la sua lettura può inclinarci a recitare, col grande imitatore da Kempis : « In omnibus requiem, et nusquam inveni nisi in angulo cum libro »<sup>7</sup> (15).*

მიუხედავად უმბერტო ეკოს მტკიცებისა, რომ თითქოს მელქელი ადსოს ხელნაწერი ავთენტური ფორმით გადმოწერა და ამგვარად, მას არავითარი კავშირი არ აქვს თანამედროვეობასთან, გამოძიების, ექვმიტანილთა დაკითხვის, აღიარების მიღებისათვის გამოყენებულმა ხერხებმა, სწრაფვამ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, იპოვო განტევების ვაცი... ამ ყველაფერმა დაგვანახა, რომ მეთოდები და ხერხები არ იცვლება საუკინიდან საუკუნემდე და რომ მათ დღევანდელი ტოტალიტარული რეჟიმებიც არანაკლებ იყენებენ, ამის დასადასტურებლად იმ პროცესების საშინელებების გახსენებაც იკმარებდა, რომლებსაც სტალინური შეარქვეს (და რომლებსაც ჩვენი კონფერენციის მოხსენებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება), მაგრამ რომლებიც ასევე წარმატებით გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოშიც მეოცე საუკუნეში, ამისათვის საკმარისი იქნება წავიკითხოთ „კომუნიზმის შავი წიგნი“<sup>8</sup>, რომელიც ავტორთა ჯგუფმა არქივებზე დაყრდნობით დაწერა და რომელიც გვთავაზობს გაუგონარი სისასტიკით განხორციელებული წამებების სულისშემძვრელ მაგალითებს. ამიტომაც შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, როდესაც რომანის წინასიტყვაობაში ის წერს:

*« ora mi sento libero di raccontare, per semplice gusto fabulatorio, la storia di Adso da Melk, e provo conforto e consolazione nel ritrovarla così incommensurabilmente lontana nel tempo (ora che la veglia della ragione ha fugato tutti i mostri che il suo sonno aveva generato), così gloriosamente priva di rapporto coi tempi nostri, intemporalmente estranea alle nostre speranze e alle nostre sicurezze »<sup>9</sup> (15).*

თუმცა, იმ დროს, როდესაც 1968 წლის 16 აგვისტოს ავტორმა პრადამი ის ტექსტი აღმოაჩინა, რომლის თაობაზეც საუბრობს, მსოფლიოს ახალი გადატანილი ჰქონდა მოვლენები, რომლებიც არანაკლებ საშინელი იყო, ვიდრე ისინი, რომლებიც რომანშია აღწერილი (მეორე მსოფლიო ომი, ორმოცდაათიანი წლების სტალინური რეპრესიები...), რომლებიც, შესაძლოა, ახალი ტექნოლოგიების წყალობით, უფრო დახვეწილი მეთოდებით

<sup>7</sup> ესაა ამბავი წიგნებისა და არა ყოველდღიური უბადრუკობისა, და მისმა კითხვამ შეიძლება გვიბიძგოს, დიდ კემპელ მიმბამველთან ერთად წარმოვთქვათ: „სად არ ვემიე სიმშვიდე და ვპოვე იგი ოდენ კუთხეში, წიგნით ხელში“ (ლათ.) (24).

<sup>8</sup> *სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი... – ”კომუნიზმის შავი წიგნი”*. თარგმანი ფრანგულიდან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

<sup>9</sup> ახლა აღარაფერი მზლუდავს, თუნდაც მხოლოდ სიუჟეტისადმი ტრფიალით მოგიტხროთ მელქელი ადსოს ამბავი. და კიდევ უფრო მამხნევეს და მანუგემებს, რომ ეს ამბავი უსაშველოდ შორეულია (ახლა, როდესაც გონების სიფხიზლემ მისივე ძილის ნაშობი ურჩხული მიმოფანტა), ასე დიდებულად მოწყვეტილია ამჟამინდელიობას, უსასრულოდ დამორებული ჩვენს იმედებს, ეჭვებსა და უეჭველობას (24).

ხორციელდებოდა. უმბერტო ეკო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მან ეს წიგნი დაწერა უბრალოდ მწერლობის სიყვარულით და რომ ისტორიული ფაქტების აღწერას ანამნეზის გაკეთების დანიშნულებაა აქვს მხოლოდ. როგორც ავტორი ამბობს: *“... il Medio Evo è la nostra infanzia a cui occorre sempre tornare per fare l'anamnesi”*<sup>10</sup> (531).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორისთვის უმნიშვნელოა მის მიერვე წინასიტყვაობის დასაწყისში მოხსენიებული ფაქტი, რომ პრადამი წიგნის აღმოჩენიდან ექვსი დღის შემდეგ *„le truppe sovietiche invadevano la sventurata città”*<sup>11</sup> (11).

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ამ მომუხსველი რომანის შინაარსის, სტილის, პოეტიკის სიმდიდრეზე, რომანისა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით შეიძლება წაიკითხო სუსპენსისა და დეტექტიური რომანისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის წყალობით, მაგრამ ამას აკეთებ ფანქრით ხელში, რათა შემდეგ კვლავ არაერთგზის დაუბრუნდე ფილოსოფიური რეფლექსიებით გაჯერებულ პასაჟებს, კიდევ იმ პასაჟებს, რომლებიც მოგვითხრობენ წიგნებზე, ისევე როგორც უნივერსალურ და კარგად ნაცნობ თუ ნაკლებად ცნობილ ავტორებზე, რომლებსაც შეუძლიათ ბევრი ასწავლონ თვით ყველაზე განსწავლულ ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებსა თუ ფილოლოგებს, ვინაიდან უმბერტო ეკო შუა საუკუნეების დიდი სპეციალისტია. როგორც ის თავად აღნიშნავს: *« Come ho detto in qualche intervista, il presente lo conosco solo attraverso lo schermo televisivo mentre del Medio Evo ho una conoscenza diretta »*<sup>12</sup> (512).

ნათქვამი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რომანი მრავალი თვალსაზრისით შეიძლება შევისწავლოთ. მაგრამ კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დავისახეთ, გამოვკვეთოთ მსგავსება და განსხვავება ღვთიურ და საერო სამართალს შორის, დავადგინოთ მათ შორის არსებული ურთიერთობები, შევისწავლოთ იურისპრუდენციის ის საკვანძო კონცეპტები, რომლებიც განეკუთვნება რელიგიურ და საერო სფეროებს, გავანალიზოთ ამ ორი სფეროს კონცეპტებს შორის კავშირი. გამოვკვეთოთ მსგავსი ტერმინების/კონცეპტების/ცნებების ის ნიუანსები, რომლებსაც ისინი იძენენ ერთი სფეროდან მეორეში გადასვლის დროს.

ვინაიდან რომანი ასახავს შუა საუკუნეების მოვლენებს, პირველ რიგში გამოვყოფთ *ინკვიზიციისა* და, შესაბამისად, *ინკვიზიტორის* კონცეპტებს, რომლებიც მხოლოდ რელიგიური კონცეპტებია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად „ინკვიზიცია“ დროებით სასამართლო/სამართლებლივ

<sup>10</sup> შუა საუკუნეები ჩვენი ბავშვობაა, რომელსაც ანამნეზისთვის ხშირად უნდა მივუბრუნდეთ (735).

<sup>11</sup> საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს ბედკრული ქალაქი (17).

<sup>12</sup> როგორც ერთხელ ერთ ინტერვიუში ვთქვი, აწმყოს მხოლოდ ტელეეკრანებიდან ვიცნობ, შუა საუკუნეებთან კი უშუალო ურთიერთობა მაქვს-მეთქი (698).

ორგანიზაციას წარმოადგენდა (სიტყვა „ინკვიზიცია“ ხმარებაში 1160 წელს შემოვიდა და ნიშნავდა „ძიებას“). მოგვიანებით, 1215 წელს ლატრანში და 1229 წელს ტულუზაში გამართული საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებით ინკვიზიცია გარდაიქმნა რეგულარულ და მუმივიმოქმედ დაწესებულებად. 1231 წელს გრეგუარ IX-მ შექმნა ახალი სპეციალური სასამართლო/ტრიბუნალი, რომლის ხელმძღვანელობა მიანდო დომინიკელებს. პროცედურა გასაიდუმლოებული იყო. ნებისმიერი პიროვნების გასამართლება ხდებოდა უბრალო დასმენის საფუძველზე, მოსამართლეთათვის მთავარი იყო ბრალდებულებისგან მიეღოთ აღიარება. ამან კი 1252 წლიდან პრაქტიკაში წამების გამოყენება დანერგა. ამგვარად, შუა საუკუნეებში (XV საუკუნემდე) ინკვიზიცია ასრულებდა უზენაესი სასამართლოს ფუნქციას.

რაც შეეხება *ინკვიზიტორს*, რომელიც გახლავთ კიდევ ერთი ძირითადი/საკვანძო ცნება/კონცეპტი, უილიამ<sup>13</sup> ბასკერვილის თანახმად, « *L'inquisitore è sottratto a ogni giurisdizione regolare... e non deve seguire le norme del diritto comune. Gode di speciale privilegio e non è neppure tenuto ad ascoltare gli avvocati* »<sup>14</sup>. (373).

უილიამის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ამ დროს პარალელურად არსებობს საზოგადო სამართალი - *diritto comune* (ფრანგულად - *droit commun*), რომელიც გამოიხატება ისეთი კონცეპტებით, როგორცაა *giurisdizione regolare*, ფრანგულად - *jurisdiction régulière*, ქართულად კი ნათარგმნია მხოლოდ როგორც *იურისდიქცია; braccio secolare* (ფრანგულად - *bras séculier*) - *საერო ხელი*<sup>15</sup>.

თქვენ ყურადღებას მივაპყრობ მესამე, საკუთრივ რელიგიურ კონცეპტზე, რომელიც გახლავთ *ერეტიკოსობა/მწვალებლობა*, რომლის ამომწურავ დახასიათებას იძლევა პაპის მიერ წარგზავნილი მეორე ინკვიზიტორი - ბერნარ გუი. მასზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ეს ტერმინი ზოგჯერ იცვლება მისი სინონიმით *juge* - მოსამართლე, რომელიც ერთდროულად რელიგიური და სამოქალაქო კონცეპტია.

ამ რომანის სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ასახავს იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შვიდი დღის განმავლობაში შუა საუკუნეებში, უფრო კონკრეტულად, 1327 წელს, ჩრდილოეთ იტალიის ერთ მონასტერში. ისტორიიდან ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ის ეპოქაა, როდესაც უამრავ დანაშაულს ჩადიოდნენ, ხშირად ღმერთის სახელით, როდესაც

<sup>13</sup> სადაოდ მიგვაჩნია რომანის მთავარი პერსონაჟის *Guglielmo*-ს (რომელიც იტალიურად წარმოითქმის როგორც *გულიელმო*) ქართული შესატყვისი *უილიამი*. მაგრამ ვინაიდან ქართული თარგმანის ორივე, 2011, 2012 წლების გამოცემაში ის ასეთი ფორმით არის გადმოტანილი, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ჩვენც მას გამოვიყენებთ.

<sup>14</sup> ინკვიზიციას არანაირი იურისდიქცია არ ეხება... და არც სამართლის რიგით ნორმებს იცავს. ის განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს და არც ადვოკატებისთვის ყურისგდება ევალება (509).

<sup>15</sup> უნდა იყოს *საერო ხელისუფლება* (მ.დ.)

ეკლესიის მსახურთა ერთი ნაწილი ბრალს დებდა მეორე ნაწილს ერეტიკოსობაში/მწვალებლობაში, რომელიც მიჩნეული იყო ყველაზე დიდ დანაშაულად და როგორც კი მწვალებელს აღმოაჩენდნენ, მას უმალ აგზავნიდნენ კოცონზე, რაც უზენაეს სასჯელად ითვლებოდა, ვინაიდან მას უფლის ნებად მიიჩნევდნენ. როგორც ამტკიცებს ინკვიზიტორი გუი, « ... *i sacramenti siano stati istituiti da Nostra Signore, ... per fare una retta penitenza occorra confessarsi dai servi di Dio, ... la chiesa romana abbia il potere di sciogliere e legare su questa terra ciò che sarà legato e sciolto in cielo* »<sup>16</sup> (376). ეს არის ეპოქა, როდესაც ადამიანებს შეეძლოთ, როგორც ეს გააკეთა მონასტრის მეკუჭნავემ, ისე მოეკლა მოყვასი, რომ დანაშაული არც კი გაეცნობიერებინა.

იმავედროულად, ეს არის ეპოქა, როდესაც დიდი უთანხმოება არსებობს პაპსა და იმპერატორს შორის, როდესაც თითოეული მათგანი მოქმედებს დადგენილი კანონების მიხედვით: საეკლესიო ხელისუფლება - წმინდა წერილის, ხოლო საერო ხელისუფლება - იმპერატორის მიერ დადგენილი კანონების მიხედვით. მაგრამ, როგორც ამას მოგვიანებით ვნახავთ, წმინდა წერილის განსხვავებული ინტერპრეტაციები ხშირად გამხდარა წარმოუდგენელი სისასტიკით განხორციელებული დანაშაულებების საფუძველი.

როგორც ყველამ კარგად ვიცით, ყოველ შემთხვევაში მათ, ვისაც უმბერტო ეკოს ეს რომანი წაუკითხვას, გამოძიებას ატარებს ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ყოფილი ინკვიზიტორი, ძალზე განსწავლული პიროვნება, იმპერიის თეოლოგი, რომელიც ფლობს ყველა იმ ძირითად ენას, რომლებზეც შექმნილია დიდი ნაწარმოებები ანტიკური ხანიდან მოყოლებული და რომელთა გადაწერაც ხდებოდა სკრიპტორი ბერების მიერ საუკუნეების განმავლობაში, რაც ხელს უწყობდა მონასტრებში მდიდარი ბიბლიოთეკების შექმნას, რომლებიც ხშირად ფლობდნენ იშვიათ ხელნაწერებს, როგორც ეს ხდება რომანში აღწერილ მონასტერში. გამოძიების პროცესში მას თან ახლავს 18 წლის ახალგაზრდა შეგირდი/მოწაფე, რომელიც, მონასტერში განვითარებული ამბების მომსწრე, მათ აღწერს 80 წლის ასაკში.

გამოძიებას აწარმოებს ის, ვინც, როგორც ამას მონასტრის წინამძღვარი ამბობს, « *in Inghilterra e in Italia... era stato inquisitore in alcuni processi, dove si era distinto per la sua perspicacia, non disgiunta da grande umanità* »<sup>17</sup> (37), ...რომელსაც, უმრავლეს შემთხვევაში, ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი განაჩენი ჰქონდა გამოტანილი.

<sup>16</sup> წმინდა საიდუმლოებანი უფლის დადგენილია, ჭეშმარიტი სინანულისთვის საჭიროა, ღვთის მსახურის წინაშე მოინანიო, ... რომის ეკლესიას აქვს უფლებამოსილება მიწაზე განსაჯოს და გადაწყვიტოს ის, რაც ზეცაში განისჯება და გადაწყდება (513).

<sup>17</sup> ინგლისსა და იტალიაში ინკვიზიტორად ყოფილა რამდენიმე სასამართლოზე და გამჭრიახობითა და ადამიანურობით გამოუჩენია თავი (53).

ჩვენ ვნახავთ, რომ სამი დღის შემდეგ გამოძიებაში ერთვება სხვა ინკვიზიტორი, ბერნარ გუი, პაპის თეოლოგი, რომელიც სავსებით მიესადაგება ინკვიზიტორის იმ განმარტებას, რომელსაც ვოლტერი თავის „ფილოსოფიის ლექსიკონში“ იძლევა:

« *L'inquisition est, comme on sait, une invention admirable et tout à fait chrétienne pour rendre le pape et les moines plus puissants, et pour rendre tout un royaume hypocrite... Au reste, on connaît assez toutes les procédures de ce tribunal, ... On est emprisonné sur la simple dénonciation des personnes les plus infâmes ; un fils peut dénoncer son père, une femme son mari ; on n'est jamais confronté devant ses accusateurs...* »<sup>18</sup>.

უილიამის მიერ წარმოებული გამოძიება შვიდ დღეს გრძელდება, მაგრამ მას არ მოჰყვება არავითარი პროცესი, ვინაიდან დამნაშავე თუ დამნაშავეები იმ ხანძრის დროს იღუპებიან, რომელმაც სრულიად გააჩანაგა მონასტერი და განსაკუთრებით ბიბლიოთეკა, ამ მონასტრის სიამაყე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხანძარი მოსპობს მკვლევლობების მთელი სერიის მოტივებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შვიდი დღის განმავლობაში. ამგვარად, არამც თუ არ იმართება პროცესი, არამედ თვით მკვლელი თუ კონკრეტული დამნაშავეც კი არ არის გამჟღავნებული. სწორედ ამ დროს ის კონცეპტები, რომლებსაც დასაწყისში თითქოს ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც რელიგიური, ისე სამოქალაქო ცხოვრებისათვის, იძენენ გარკვეულ ნიუანსებს მოტივების სპეციფიურობის გამო. და როგორც ამას თავად უმბერტო ეკო ამბობს რომანის 1983 წლის გამოცემის შენიშვნაში, საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ დამნაშავე თავად მკითხველია, რომელმაც მოინდომა სცოდნოდა და გაეგო უფრო მეტი, ვიდრე მას ამის უფლება ჰქონდა მიცემული იმის ან იმათ მიერ, ვინც ფიქრობდნენ, რომ ისინი დედამიწაზე გამოგზავნილი იყვნენ ღვთის ნების აღსასრულებლად.

სწორედ უილიამია ის, ვინც მიჯნავს ერთმანეთისგან ეკლესიის ძალაუფლებას და მეფის/პრინცის/მთავრის ძალაუფლებას; შესაბამისად, ღვთიურ სამართალს და საერო/სამოქალაქო სამართალს. მისი აზრით, « *sulla cui eresia solo la chiesa, custodo della verità, può pronunciarsi, e tuttavia solo il*

<sup>18</sup> როგორც ვიცით, ინკვიზიცია მომხიბლავი და სავსებით ქრისტიანული გამოგონებაა იმისათვის, რათა კიდევ უფრო ძლიერნი გავხადოთ პაპი და სამღვდლოება, და იმისათვის, რომ მთელი სამეფო ფარისევლად ვაქციოთ... თანაც, საკმარისად ვიცნობთ ამ ტრიბუნალის/სასამართლოს ყველა პროცედურას, ... ციხეში გვსვამენ ყოვლად უბადრუკი პროვნებების სულ უბრალო დასმენის საფუძველზე; შვილს შეუძლია მამა დაასმინოს, ცოლს ქმარი; არასოდეს ხდება დაპირისპირება ბრალმდებლებთან...

*braccio secolare può agire*»<sup>19</sup> ამის მტკიცებისას ის ეყრდნობა თავად ქრისტეს მაგალითს, რომელიც

*«...non venne in questo mondo per comandare, ma per sottomettersi secondo le condizioni che nel mondo trovava, almeno per quanto riguardava le leggi di Cesare. Egli non volle che gli apostoli avessero comando e dominio, e perciò sembrava cosa saggia che i successori degli apostoli dovessero essere sollevati da qualsiasi potere mondano e coattivo. Se il pontefice, i vescovi e i preti non fossero sottomessi al potere mondano e coattivo del principe, l'autorità del principe ne verrebbe inficiata, e i inficerebbe con questo un ordine che, come si era dimostrato prima, era stato disposto da Dio»<sup>20</sup> (358).*

ასეთი მსჯელობით უილიამს უნდა დაგვიმტკიცოს, რომ სწორედ ღმერთმა დაადგინა დედამიწაზე ასეთი წესრიგი, მიანიჭა რა თითოეულ ამ ხელისუფლებას - ეკლესიასა და მთავარს/მეფეს/იმპერატორს საკუთარი უფლებები და მოვალეობები. ამიტომაც არის, რომ საერო ხელისუფლებას არ შეუძლია აწარმოოს გამოძიება მწვალებლობაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკლესია დაადგენს ამ დანაშაულს, მან საქმის კურსში უნდა ჩააყენოს საერო ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეკლესია აგზავნის კოცონზე მწვალებელს.

*«Ma che dovrà fare il principe con un eretico. Condannarlo in nome di quella verità divina di cui non è custode? Il principe può e deve condannare l'eretico se la sua azione nuoce alla convivenza di tutti, se cioè l'eretico afferma la sua eresia uccidendo o impedendo coloro che non la condividono. Ma a quel punto si ferma il potere del principe, perché nessuno su questa terra può essere costretto coi supplizi a seguire i precetti del vangelo, altrimenti dove finirebbe quella libera volontà sull'esercizio della quale ciascuno verrà poi giudicato nell'altro mondo?»<sup>21</sup>(359)*

<sup>19</sup> მწვალებლობის გამოვლენა მხოლოდ ეკლესიას ხელეწიფება, როგორც ჭეშმარიტების მპყრობელს, თუმცა შემდგომი მოქმედება საერო ხელის საქმეა (490).

<sup>20</sup> მმართველად კი არ მოვიდა ამ ქვეყნად, არამედ - ქვეშევრდომად, და იმ წესებს ემორჩილებოდა, რომლებიც იმ გარემოში იყო დაწესებული - კეისრის კანონებს. მას არც მოციქულები შეურჩევია მმართველ-გამგებელთა შორის, და ვფიქრობ, ეს იმიტომ, რომ მოციქულთა მიმდევრებიც თავისუფალი ყოფილიყვნენ ყოველგვარი ამქვეყნიური ძალაუფლებისა და მისი თანამდევნი ზეგავლენისაგან. პონტიფიკოსზე, ეპისკოპოსებსა და მღვდლებზე რომ საერო მთავართა ძალაუფლება არ ვრცელდებოდეს, ის მთლიანად დამაბუნდებოდა და ამით შეირყეოდა წყობა, რომელიც, როგორც წელან დაგისაბუთეთ, ღვთის მიერაა დადგენილი (490).

<sup>21</sup> მაგრამ როგორ დასაჯოს მეფემ ერეტიკოსი? იმ ჭეშმარიტების სახელით, რომელიც ეკლესიის ხელშია? მთავარმა ერეტიკოსი მაშინ უნდა დასაჯოს, თუ მისი მოქმედება ხელს უშლის და ზიანს აყენებს საზოგადოებას, მაგალითად, მაშინ, თუ მწვალებელი თავისი რწმენის გავრცელებისათვის განსხვავებული აზრის მქონეს კლავს და ავიწროებს. მეფის ძალაუფლება აქ მთავრდება, რადგან ამ ქვეყნად სასჯელის შიშით ვერავის აიძულებ, სახარებას მისდიოს.



ამგვარად, იმ დროს, როდესაც უილიამი ინკვიზიციას ახორციელებდა, თუ ის ვინმეს დამნაშავედ აღიარებდა, ამ უკანასკნელს მართლაც ჰქონდა ჩადენილი ისეთი დანაშაულებები, რომ მას სინდისის ქენჯნის გარეშე შეეძლო ის საერო ხელისუფლებისთვის გადაეცა. მოგვიანებით ვნახავთ, რომ მეორე ინკვიზიტორი, ბერნარ გუი, არ იზიარებს უილიამის მოსაზრებას.

იმავედროულად, უილიამის აზრით, ეს ორი ხელისუფლება, ღვთიური და საერო, ერთმანეთისგან საბოლოოდ არ არის გამიჯნული. „*La chiesa può e deve avvertire l'eretico que esso sta uscendo dalla comunità dei fedeli, ma non può giudicarlo in terra e obbligarlo contro sua volia*”<sup>22</sup> (359). ამასთან ერთად, არსებობს მოსეს მიერ დადგენილი სამართალი და მისგან განსხვავებული, ქრისტეს მიერ დადგენილი სამართალი.

« *Si Cristo avesse voluto che i suoi sacerdoti ottenessero potere coattivo, avrebbe stabilito precisi precetti come fece Mosè con la legge antica. Non lo fece. Dunque non lo volle. O si intende suggerire l'idea che egli lo volesse, ma gli fosse mancato il tempo o la capacità di dirlo, in tre anni di predicazione? Ma era giusto che non lo volesse, perché se lo avesse voluto, allora il papa avrebbe potuto importe la sua volontà al re, e il christianesimo non sarebbe più legge di libertà, ma intollerabile schiavitù*”<sup>23</sup> (359).

უილიამის ეს თეოლოგიური რეფლექსია იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ ერთი და იგივე ადამიანები არიან მორწმუნენი (ან ურჯულონი, მწვალებლობის შემთხვევაში) ეკლესიისათვის და მოქალაქენი - საერო ხელისუფლებისთვის, მათ შორის პაპიც, ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც, და რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი და მისი დამცველი ეკლესიაა.

გამომიბების დასასრულს ჩვენ ვიგებთ, რომ ყველა, ვინც დაიღუპა, იმიტომ დაიღუპა, რომ მათ მოინდომეს უფრო მეტის ცოდნა, ვიდრე იმ ეპოქის რელიგიური დოგმების თანახმად უნდა სცოდნოდათ.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ბიბლიოთეკისა და ხორხეს ფიცის ფაქტორი, რომელსაც უილიამი მკვლელობის მიზეზის აღმოჩენამდე მიჰყავს. ბიბლიოთეკის დანიშნულება იყო შემოენახა ყველაფერი, რაც კი სადმე რამე

განა ჩვენი თავისუფალი ნებით ჩადენილი საქციელის გამო არ ვაგებთ პასუხს იმქვეყნად? (490-491)

<sup>22</sup> ეკლესიამ უნდა გააფრთხილოს ერეტიკოსი, რომ ის მორწმუნეთა ერთობას ემიჯნება, მაგრამ ვერც განიკითხავს მას ამ ქვეყნად, ვერც რამეს აიძულებს (491).

<sup>23</sup> ქრისტეს რომ ნდომოდა, მის მოციქულთ იძულება შეძლებოდათ, ისეთ მკაცრ წესებს დაადგენდა, როგორც მოსემ დაადგინა. მაგრამ თუ იესომ ეს არ გააკეთა, ესე იგი, არ ინება. თუ ვინმეს სურს, გვაფიქრებინოს, უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწროო, არ დავეთანხმები, სამი წელი იქადაგა იესომ, რა ვერ მოასწრო? მართებულია, ვირწმუნოთ, რომ ეს არ იყო მაცხოვრის ნება. იესოს რომ ნდომოდა, მაშინ პაპი საკუთარ ნებას მეფეებსაც მოახვევდა თავს და ქრისტიანობა თავისუფლების კანონი კი არა, გაუსაძლისი მონობა იქნებოდა (491).

იყო შექმნილი და აქ მოტანილი, მაგრამ არავის უნდა ეცადა, უფრო მეტი შეეტყო მათ შესახებ.

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია გავავლოთ პარალელი უმბერტო ეკოს რომანსა და თანამედროვეობას შორის, შუა საუკუნეებში მომხდარ მოვლენებსა და ყველა იმ მოვლენას შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეებიდან მოყოლოებული დღემდე. ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ტერორი, აკრძალვა უფრო მეტის ცოდნისა, ვიდრე ამის უფლებას რეჟიმი იძლევა. მილიონობით ინტელექტუალმა თუ უბრალო ადამიანებმა წლები გაატარეს გულაგში, უმრავლესობა იქ მხოლოდ იმიტომ დაიღუპა, რომ ისინი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ეწინააღმდეგებოდნენ მოქმედ რეჟიმს. და როდესაც უმბერტო ეკოს ამ რომანში ვკითხულობთ, რა ხერხებს და საშუალებებს იყენებდა ინკვიზიცია იმისათვის, რომ ბრალდებულს ეღიარებინა რეალური თუ გამოგონილი დანაშაული და როდესაც მათ ვადარებთ იმ ხერხებს და საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ სამოქალაქო გამოძიების დროს, გაოგნებული ვრჩებით ადამიანის ფანტაზიით, რომელიც წამების ისეთ ხერხებს იგონებს, რომლებიც ექვმიტანილს აღიარებინებს არა მხოლოდ იმას, რაც მან რეალურად ჩაიდინა, არამედ იმასაც, როგორც უილიამი ამას ადსოს უხსნის, „*che avrebbe voluto fare, anche se non lo sapeva*»<sup>24</sup> (392).

ყველაზე სასტიკი ინკვიზიტორის პროტოტიპი რომანში ბერნარ გუია. ის წამების ხერხებს ეპოქისათვის დამახასიათებელი გასაოცარი მოხერხებულობით იყენებს. მას მიაჩნია, რომ იძულებულია გამოიყენოს დაკითხვის ის მეთოდები, რომლებიც მას არ მოსწონს, როდესაც მათ საერო სამართალი იყენებს. მკითხველი გაოგნებულია ჯერ თავად დაკითხვის პროცესით და შემდეგ წამების ნელი მომზადების ხერხებით (ვინაიდან *la giustizia di Dio ha secoli a disposizione*<sup>25</sup> (389)), რომლებსაც მთხრობელი ისეთი სიზუსტით აღწერს, რომ გგონია ამ სულისშემძვრელი სანახაობის თვითმხილველი ხარ.

*« Chiedete all'Abate un luogo dove si possano predisporre gli strumenti di tortura. Ma che non si proceda subito. Per tre giorni resti in una cella, in ceppi mani e piedi. Poi gli si mostrino gli strumenti. Soltanto. E al quarto giorno si proceda. La giustizia non è mossa dalla fretta, come credevano gli pseud apostoli, e quella di Dio ha secoli a disposizione. Si proceda piano, e per gradi. E soprattutto, ricordate quanto è stato detto ripetutamente: che si evitino le mutilazioni e il pericolo di morte. Una delle provvidenze che questo procedimento riconosce all'empio, è proprio che la morte venga assaporata, e*

<sup>24</sup> რის გაკეთებაც ეწადა, მაგრამ თავადაც არ იცოდა (534).

<sup>25</sup> ღვთიურ სამართალს საუკუნეები აქვს ხელთ (530).

*attesa, ma non venga prima che la confessione sia stata piena, e volontaria, e purificatrice*<sup>26</sup> (389).

კიდევ ერთი მსგავსება საერო სამართალთან.

ის თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ აღიარებს, რომ ისიც ცოდვილია, მაგრამ თავს მიიჩნევს ღმერთისგან წარგზავნილად მწვალებლობის აღმოსაფხვრელად, შესაბამისად ამ მოვალეობის შესრულებას წმინდა მოვალეობად განიხილავს.

მწვალებლობა ღვთიური სამართლისათვის ყველაზე დიდი დანაშაულია და ღვთის სასჯელი მწვალებლის კოცონზე გაგზავნაა, გადაწყვეტილება, რომელსაც პაპი ღმერთის სახელით იღებს. პაპის თეოლოგისათვის მწვალებლობა კომპლექსური ფენომენია. იგი გამოყოფს 5 კატეგორიას და თავის მხრივ უმატებს მეექვსეს: « ... *e ritengo palesemente amici degli eretici coloro nei cui libri (anche se essi non offendono apertamente l'ortodossia) gli eretici abbiano trovato le promesse onde sillogizzare nel loro modo perverso* »<sup>27</sup> (393).

ამგვარად, ინკვიზიტორი ადანაშაულებს წიგნებს და მათ ავტორებს მწვალებლობაში ხელის შეწყობაში, როგორც ამას ბიბლიოთეკის მცველიც აკეთებს. თუმცა, ბერნარ გუი ისე ტოვებს მონასტერს, რომ ვერ გაიგებს ნამდვილი დამნაშავის ვინაობას. თან წაიყვანს ეგრეთწოდებულ მკვლელს, რომლისაგან ის აღიარებით ჩვენებას არაადამიანური მეთოდების გამოყენებით იღებს. ამით მან მოძებნა განტევების ვაცი, რათა კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს პაპს თავისი ერთგულება.

როგორც უილიამი ადსოს უხსნის, ხშირად ინკვიზიტორები ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ამოგლიჯონ აღიარება ბრალდებულს, ფიქრობენ რა, რომ მხოლოდ ის არის კარგი ინკვიზიტორი, რომელიც პროცესს იმით ამთავრებს, რომ განტევების ვაცს პოულობს.

რაც შეეხება თავად უილიამს, ის ერთგული რჩება გამოძიების საკუთარი მეთოდისა, რომელსაც შესანიშნავად მიხვდა ბიბლიოთეკის მცველი: « *Sai, basta pensare etbreconstruire nella propre mente i pensieri dell'altro* »<sup>28</sup> (469).

<sup>26</sup> ჰკითხეთ წინამძღვარს, სად შეიძლება მომზადდეს ადგილი წამებისთვის. ბრალდებული სამ დღეს საკანში დატოვებთ, ხელებსა და ფეხებზე ხუნდები დაადეთ. შემდეგ კი წამების იარაღები აჩვენეთ. მხოლოდ აჩვენეთ. მეოთხე დღეს კი დავიწყეთ. ცრუ მოციქულები ჩქარობდნენ, ღვთიურ სამართალს კი საუკუნეები აქვს ხელთ, არსად ეჩქარება. ნელა ვიმოქმედებთ. შეგახსენებთ იმას, რაც არაერთხელ თქმულა: ერიდეთ დასახიჩრებას, არ შემოგაკვდეთ ბრალდებული. ცოდვილზე ზრუნვა სწორედ ის არის, ნელა გაიგოს სიკვდილის გემო, ელოდოს მას: სიკვდილი მაშინ უნდა ეწვიოს, როცა სრული, ნებაყოფლობითი, განმწმენდი სინანული ჩადგება ცოდვილისსულში (530).

<sup>27</sup> მწვალებელთა თანამზრახველად მივიჩნევ ავტორებს, რომელთა შრომებშიც (თუნდაც ისინი ღიად არ შეურაცხყოფდნენ სარწმუნოებას) მწვალებლებმა ის საფუძველი პოვეს, რომელზეც შემდგომ უკუდმართად დაამყარეს თავიანთი მოძღვრება (535-536).

<sup>28</sup> იგი, რომ საკმარისია, საკუთარ გრძნობებში გააცოცხლო სხვის აზრთა მდინარება (637).

საბოლოოდ, დანაშაულების წყაროდ ბიბლიოთეკა აღმოჩნდება, ბიბლიოთეკა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც რომანის ნამდვილი, აუხსნელი საუდუმლოებებით მოცული პერსონაჟი. ის არ ამართლებს მის მთავარ დანიშნულებას - მიიღოს მკითხველები, დააკმაყოფილოს ინტელექტუალების, ერუდიტების ცნობისმოყვარეობა, ხელმისაწვდომი გახადოს იშვიათი წიგნები, ბიბლიოთეკა, რომელსაც იცავს ერუდიტული პიროვნება. თუმცა ის შეპყრობილია იმ რწმენით, რომ სიცილი ეშმაკისეული თვისებაა და რომ ბიბლიოთეკის ვალია „ცოდნის დაცვა“ და არა ცოდნის „ძიება“. მისთვის « *il sapere altro non è che l'attonito commento di queste due verità – Io sono colui che è, disse il Dio degli ebrei. Io sono la via, la verità e la vita, disse Nostro Signore* »<sup>29</sup> (402). მისი აზრით,

“*ყველაფერი, რაც შემდეგ თქმულა, წინასწარმეტყველთა, ევანგელისტთა, მამათა და მოძღვართა მიერაა დამატებული ამ ორი დებულების განსამარტავად. ზოგჯერ წარმათთაც კი გამოუთქვამთ ამაზე მოსაზრება, უსჯულოთ, რომლებიც ამ ორ ჭეშმარიტებას არ აღიარებდნენ, და მათი მოსაზრებაც შეუთვისებია ქრისტიანულ ტრადიციას. მაგრამ სათქმელი აღარაფერია. უნდა ვიფიქროთ ამაზე, რუდუნებით მოვუაროთ, შევინახოთ, რაც უკვე თქმულა: მუდამ ეს იყო და კვლავაც ეს იქნება ჩვენი მონასტრისა და მისი ბრწყინვალე ბიბლიოთეკის მოვალეობა”* (548).

და ბერები რუდუნებით, თავგამოდებით და დიდი ერთგულებით ახდენდნენ ხელნაწერების გადაწერას, რომლებსაც ისინი მინიატურებით რთავდნენ საკუთარი ფანტაზიით თუ წმინდა წერილზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ არც ბიბლიოთეკის მცველი და არც ეკლესიის მამები არ იზიარებენ აღმოსავლელი ხალიფას გადაწყვეტილებას, რომელმაც ოდესღაც ცეცხლს მისცა ერთ-ერთი დიდი, ამპარტავნობით სწეული ქალაქის ვეებერთელა ბიბლიოთეკა და როცა წიგნები იწვოდა თურმე, ხალიფა ყვიროდა, „უნდა განადგურდეს ბიბლიოთეკა, რადგან ეს წიგნები, თუ ყურანში ნათქვამს იმეორებენ მხოლოდ, სრულიად უსარგებლოა, თუ მას ეწინააღმდეგებიან - საშიშიო“, ვინაიდან მათთვის « *Tutto ciò che suona di commento e chiarificazione alla scrittura deve essere conservato, perché delle scritture divine sumenta la gloria ; tutto quello che le contraddice non deve essere distrutto, perché solo lo possa e ne abbia l'ufficio, nei modi e nei tempi che il Signore verrà* »<sup>30</sup> (402), საბოლოოდ, მონასტრის სასიქადულო ბიბლიოთეკა ხსენებული ბიბლიოთეკის ბედს იზიარებს.

<sup>29</sup> ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა ადფრთოვანებით მოკრძალებით გამეორება ამ ორი ჭეშმარიტებისა - მე ვარ ის, ვინც არის, - თქვა ებრაელთა ღმერთმა. მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, ბრძანა მაცხოვარმა (548).

<sup>30</sup> ის, რაც ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება, კი არ უნდა გავანადგუროთ, უნდა შევინახოთ, რამეთუ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მარად და მარად მის უგულებელყოფას. უგულებელყოფა კი მისი საქმეა, ვისაც უფალმა ამის ძალა და უფლება მისცა (548-549).

ყველა ჩადენილ დანაშაულში დამნაშავე, დანაშაულების მოტივი და მიზეზი აღმოჩნდება არისტოტელეს *პოეტიკის* მეორე წიგნი, რომელიც ყველას დაკარგულად მიაჩნდა ან ფიქრობდნენ, რომ სულაც არ ყოფილა დაწერილი ან რომლის ერთადერთ ეგზემპლარს, უილიამის აზრით, ხორხე უნდა ფლობდეს. მას (ხორხეს) ეს წიგნი შიშის ზარს სცემს „*Perché era des Filosofo. Ogni libro di quell'uomo a distrutto una parte della sapienza che la cristianità avera accumulato lungo isecoli. I padri avevavno detto ciò che occorreva sapere sulla potenza del Verbo*”<sup>31</sup> (476).

მაგრამ უილიამისთვის სიცილი თავისუფლებისა და გონებაგამჭრიახოების სიმბოლოა. ამ თავისუფლებას, ეკლესიის მსახურთა რწმენით, უპირისპირდება ღმერთის თავისუფლება, რომელიც «*è la nostra condanna, o almeno la condanna della nostra superbia*»<sup>32</sup> (495), ვინაიდან მათთვის ამპარტავნობა, მწვალებლობასთან ერთად კიდევ ერთი ყველაზე მძიმე ცოდვაა, რომელიც უნდა დაისაჯოს.

სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში უილიამისა და მისმა შეგირდის უნებლიე ხელშეწყობით გაჩენილმა ხანძარმა, ხელი შეუშალა ინკვიზიტორს, ფარდა აეხადა ყველა მკვლელობის საიდუმლოსათვის.

დასკვნის სახით ჩამოვაცალიბებთ რამდენიმე შეკითხვას, რომლებიც ნაწარმოების წაკითხვისას, ჩვენის აზრით, აუცილებლად გაუჩნდება მკითხველს:

როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ბენედიქტელთა მონასტრის წინამძღვარი იწვევს ფრანცისკელ ინკვიზიტორს, რომელსაც თან ახლავს მისი ახალგაზრდა ბენედიქტელი ასისტენტი, გამოიძიოს ახალგაზრდა ბერის სიკვდილის მიზეზი იმ დროს, როდესაც რელიგიური ომი მიდინარეობს ერთი მხრივ, ფრანცისკელებსა და ბენედიქტელებს და, მეორე მხრივ, პაპობასა და იმპერიას შორის, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რომანში ფრანცისკელთა ორდენი, რომელიც აღწერილია, როგორც გამჭრიახი და მეცნიერული ცოდნით მდიდარი, უპირისპირდება ბენედიქტელთა ორდენს, რომელიც აღწერილია, როგორც უფრო ასკეტური. არის კი ის ნამდვილად დეტექტიური რომანი, როგორც ამას არა ერთი ლიტერატურული კრიტიკოსი მიიჩნევს, ვინაიდან მას აკლია ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ელემენტი, რომელიც ამ ჟანრის რომანისთვის არის დამახასიათებელი - გამომძიებელი მარცხს განიცდის, ის ვერ ახარხებს გამოაშკარაოს დამნაშავე და გადასცეს ის სასამართლოს. და კიდევ ერთი იმ მრავალ კითხვათაგანი, რომლებიც რომანის წაკითხვისას გვებადება, ეხება რომანის აქტუალობას.

<sup>31</sup> იმიტომ, რომ ის ფილოსოფოსის დაწერილია. ამ კაცის თითოეულმა წიგნმა ნაცარტუტად აქცია დიდი ნაწილი ცოდნისა, რაც ქრისტიანობას საუკუნეთა მანძილზე დაუგროვებია. სიტყვის ძალაზე რაც უნდა გვცოდნოდა, მამებმა უკვე თქვეს (648-649).

<sup>32</sup> ჩვენი სასჯელია, ან ჩვენი ამპარტავნობის სასჯელი მაინც (675).

## ბიბლიოგრაფია

1. Umberto Eco – Il nome della rosa. TASCABILI BOMPIANI. XLVI edizione, 2000.
2. Umberto Eco – Le nom de la rose. Traduit de l'italien par Jean-Noël Schifano. GRASSET, 1982.
3. უმბერტო ეკო - ვარდის სახელი. მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე. „დიოგენე“, 2012.

géorgien	Français	italien	Phrases	remarque
სამსჯავრო	Le bras séculier			
პაპის დელეგაცია (509)	La légation pontificale (397)			
მსაჯული	Juge	giudice		
წინამძღვარი	Abbé	Abate		
სამართალი	Droit commun	Diritto comune		
მეკუჭნავე	Cellérier	cellario		
შემზარავ დანაშაულებზე დაიჭირეს	Etre pris en flagrant délit	Era stato colto in flagrante delitto		
	Ame pécheresse (398)			
	Se soustraire aux séductions de l'hérésie			
	Accomplir un acte de charité			
	Dépravation hérétique			
	Comparaître en justice			
	Eviter le châtiment		Crois-tu que les sacrements aient été institués par Notre Seigneur, que pour faire une juste pénitence il faille se confesser aux serviteurs de Dieu, que l'Eglise	

			romaine ait le pouvoir de délier et de lier sur cette terre ce qui sera lié et délié au ciel ?	
ამქვეყნიური მმართველობა	Gouvernement temporel			

Lors de l'enquête, on essaie au premier abord de trouver le criminel tout en essayant de trouver les motifs du crime.

Dans ce roman, il s'agit d'un des types les plus graves de crime, du meurtre, concept ou terme qui est commun au deux types de justice.

